IBA 1992
შპს ინტერბიზნესის აკადემია
Interbusuness Academy LTD

ვამტკიცებ
ბრძ. N01-31; 15.10.2021წ
შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი
ი. მანაშერიძე

ცვლილება
დირექტორის ბრძ.N01-34; 31.10.2022წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სკოლამდელი აღზრდა

საკონტაქტო: თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 8
ელ.ფოსტა: info@inrerbusiness.edu.ge
ტელ: 261 54 23; 260 54 23.

პროგრამის ხელმძღვანელი: **ხათუნა წერეთელი**

თბილისი

2021 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** - „ სკოლამდელი აღზრდა“

2. **სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა:** 02117-პ.
განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება ვიწრო სფეროს განათლება, დეტალურ სფეროს სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება (კოდი 0112);

3. **მიზანი**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად პირს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/ Higher Vocational Qualification in Preschool Education.“.

4.1.[1] **პროგრამის განხორციელების ფორმა:**
კოოპერაციული.

5. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:**
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების ქონა.

6. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

7. **სტრუქტურა და მოდულები:**
სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 116 კრედიტი, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105, სწავლის ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე (79 კვირა).
მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება დაიწყება ქართული ენის მოდულით. არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.

[1] ცვლილება ბრძ.N01-34; 31.10.2022

სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მოცულობა ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით არის **146 კრედიტი**. სწავლის ხანგრძლივობაა 26 სასწავლო თვე (103 კვირა).

ზოგადი სავალდებულო მოდულები			
	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
ჯამში			11

სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა-სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	2
2.	პრაქტიკული პროექტი-სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	12
3.	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	5
4.	პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
5.	ბავშვის განვითარების თავისებურებები	სრული ზოგადი განათლება	4
6.	ადრეული განათლების კურიკულუმები	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები.	5
7.	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები;	6
8.	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია;	3
9.	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
10.	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	სრული ზოგადი განათლება	6
11.	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები.	2

12.	საგანმანათლებლო გარემო	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში.	8
13.	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია.	2
14.	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; საგანმანათლებლო გარემო.	9
15.	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია; საგანმანათლებლო გარემო; დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში.	4
16.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია; საგანმანათლებლო გარემო; დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში.	5
17.	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია;	3
18.	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ადრეული განათლების კურიკულუმები; დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია;	3
19.	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია.	3
20.	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები;	4

		საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია;	
21.	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ადრეული განათლების კურიკულუმები; დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია.	5
22.	კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითარების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია.	3
23.	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითრების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია.	2
24.	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში; ბავშვის განვითრების თავისებურებები; ადრეული განათლების კურიკულუმები; საგანმანათლებლო გარემო; ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია.	3
ჯამი:			105

8. **მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა** - სწავლის შედეგები. სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;

დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

9. **აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროგრამის შემუშავება.**

„სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს „ინტერბიზნესის აკადემიის” მიერ, „აღმზრდელის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა[2].

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - 11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. დანართი № 1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

14. დანართი N 2 -სასწავლო გეგმა[3];

---

[2] ცვლილება ბრძ. N01-34 ; 31.10.2022წ

15. დანართი N 3 - ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

16. დანართი N 4 -32 - მოდულები

[3] ცვლილება ბრძ. N01-34 ; 31.10.2022წ